წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2018-2022 წლებში განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების ან/და ინსპექტირების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია

ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნილ პერიოდში მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ, 2018 წელს განხორციელდა 1 (ერთი) ინსპექტირება, სამსახურმა მოახდინა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვის მონაწილე სუბიექტების მიერ შესრულებული ვალდებულებების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება/ინსპექტირება. შესყიდული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების ნაწილში, ინსპექტირებით გამოვლენილი დარღვევის (ზედმეტი გადარიცხვა) გაანალიზებით შესაძლებელი გახდა დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირების იდენტიფიცირება. მოგვიანებით, ინსპექტირების შედეგებზე დაყრდნობით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის ფაქტზე განხორციელებულ იქნა დისციპლინური წარმოება. ბრალეული საჯარო მოხელეთა მიმართ გაიცა რეკომენდაცია დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ, (რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა ბრალეული საჯარო მოხელეთა მიმართებით).

ასევე **2018** წელს განხორციელდა 2 (ორი) შიდა აუდიტორული შემოწმება, მერიის მიერ დაფუძნებულ 2 (ორი) ა(ა)იპი-ში. შიდა აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მიგნებების აღმოსაფხვრელად აუდიტის ანგარიშებში აისახა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- დეკლარაციებში ასახული მონაცემები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ბუღალტრულ ანგარიშგებასთან და დაზუსტდეს დადგენილი წესით.
- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში, სხვა ინფორმაციასთან ერთად, მიზანშეწონილია მკაფიოდ იქნას ასახული კონკრეტული სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (ხელშეკრულების სარეგისტრაციო/რიგითი ნომერი და გაფორმების თარიღი).
- ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №13 ბრძანების მე-4 მუხლის

პირველი პუნქტის მიხედვით, შესყიდვები უნდა განხორციელდეს წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

- განისაზღვროს შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი, ფორმა და ePLAN-ში გეგმის რეგისტრაციისათვის უფლებამოსილი პირი.
- შესყიდვების გეგმაში შეტანილ იქნას წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები.
- საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით შესყიდვები განხორციელდეს ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის საფუძველზე. კონტროლის მექანიზმებისა და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის მოხდეს ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირება.
- ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებებში უნდა მიეთითოს გამარტივებული შესყიდვის სამართლებრივი საფუძველი – კანონის შესაბამისი ნორმა.
- ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე- 10 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებებში უნდა მიეთითოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისი CPV კოდი.
- ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის შესაბამისად ხელშეკრულებებში უნდა მიეთითოს ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტული ვადა.
- ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში უნდა აიტვირთოს ხელშეკრულებასთან ერთად.
- ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში უნდა აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

- ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, არ უნდა გაიზარდოს თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 10%-ზე მეტი ოდენობით.
- ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №13 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის ან კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება უნდა დარეგისტრირდეს CMR-ში, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.
- ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №13 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, CMR-ში უნდა აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აისახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიენიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი (,,შესრულებული ხელშეკრულება'' ან ,,შეუსრულებელი ხელშეკრულება'').
- იმისათვის, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღოს სასურველი შედეგი და დაიკმაყოფილოს საჭიროება, რეკომენდირებულია, ხელშეკრულებაში განისაზღვროს შესყიდვის ობიექტის ზუსტი დასახელება, რაოდენობა, ტექნიკური პარამეტრები და ერთეულის ფასი.
- ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის №2 ბრძანებით დამტკიცებული ,,A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების", აგრეთვე შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა განახორციელოს შესაბამის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლისგან. A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სხვა

მიმწოდებლისაგან შესყიდვის საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამისი დასაბუთებით მიმართოს კონსილიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას.

- ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 11 აპრილის №10 ბრძანებით დამტკიცებული ,,სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების", აგრეთვე შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია A4 ფორმატის ,,B'' ტიპის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერების შესყიდვა განახორციელოს შესაბამის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლისგან.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის №230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი"-ს მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე (თუ საწვავის ფაქტობრივად ხარჯვის ნორმები რეგლამენტირებული არ არის, საწვავი ჩამოიწერება ფაქტობრივი ხარჯისა და ცალკეული მარკის სატრანსპორტო საშუალების საწვავის ხარჯვის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით), რეკომენდირებულია საწვავის წვის ნორმა, გარდა, ფაქტობრივი ხარჯვის მაჩვენებლებისა, განისაზღვროს საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. პრაქტიკაში უნდა დაინერგოს საწვავის ხარჯვის ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რაც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალების ან/და სპეც.ტექნიკის მიერ განვლილი მანძილის ან/და ნამუშევარი სათების ზუსტ აღრიცხვასა და შესაბამისად, ხარჯად აღიარებული საწვავის ღირებულების რეალურობას.
- ,,ცენტრი"-მა უნდა შეიმუშაოს წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევის ინსტრუქცია, რომელიც დაარეგულირებს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის პროცედურებს, მათ შორის წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელებას, განსაზღვრავს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით შესადგენ დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და ეკონომიურად ხარჯვას.
- სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებისას აუდიტის ობიექტმა უნდა იხელმძღვანელოს ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების შესაბამისად. რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, აუდიტის ობიექტის შინაგანაწესის

შესაბამისად, საბოლოო ანგარიშსწორებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

- უნდა მოხდეს ავიაბილეთების შესასყიდად განხორციელებული ბაზრის კვლევის შედეგების სათანადო დოკუმენტირება.
- ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისობაში მოყვანა მოხდეს საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დადგენილი ნორმებთან.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, აუდიტის ობიექტის კუთვნილ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №439-ის - „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.
- აუდიტის ობიექტის ბალანსი უნდა აკმაყოფილებდეს „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების მოთხოვნებს.
- აუდიტის ობიექტის ბუღალტერმა მოაწესრიგოს საბუღალტრო აღრიცხვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად და ასახოს შესაბამისი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წელს შიდა აუდიტორული შემოწმება განხორციელდა 1 (ერთი) შპს-ში, 1 (ერთი) ა(ა)იპ-ში, 1 (ერთი) სტრუქტურულ ერთეულში. მომზადდა ორი შიდა აუდიტორული ანგარიში და ერთი შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი. შემოწმებით გამოვლენილი მიგნებების აღმოსაფხვრელად აუდიტის ანგარიშებში აისახა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში თვითმმართველი ერთეულის ფინანსური და ქონებრივი ინტერესების დასაცავად ერთიანი პრაქტიკის დანერგვისათვის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის „ე.ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოამზადოს/შეიმუშაოს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 50% - ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციის და ამორტიზებული და/ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი"-ს შესახებ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რასაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი დასამტკიცებლად წარუდგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულას. აუდიტის ობიექტთან მიმართებით, რეკომენდირებული რეგულაციის გამოყენებით მარტივად გახდება შესაძლებელი შპს-ს საკუთრებაში არსებული ქონების ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა და მასთან დაკავშირებით შესაბამისი, რაციონალური გადაწყვეტილების მიღება.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 4^1-ე პუნქტის მოთხოვნების დაცვით მოახდინოს შპს-ს მოქმედი წესდების (შეთანხმების) ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც ხელს შეუწყობს საწარმოს მმართველობასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს-ს დირექტორის უშუალო ჩართულობით უზრუნველყოს „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში" შპს ეკონომიკური საქმიანობის შესახებ სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური"-ს 2016 წლის 28 ივლისის N10 დადგენილებით დამტკიცებული **„სეკ 006-2016"** სტანდარტით ინფორმაციის წარდგენა და შემდგომი რეგისტრაცია.

- შპს-ს ხელმძღვანელის მიერ განხორციელდეს ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგება და შესაბამისი ინფორმაციის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.
- მესამე პირ(ებ)თან კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ჩართვის პროცესში, წამომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, შპს-ს დირექტორმა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობით განსაზღვროს თუ რა ფორმის სახელშეკრულებო ვალდებულებებით უნდა მოახდინოს უზუფრუქტით მიღებული მუნიციპალური ქონების მესამე პირებზე სარგებლობაში გადაცემა. ხელშეკრულებები ასევე მკაფიოდ უნდა ასახავდეს იმ საგნის რეკვიზიტებს, რომელზეც მახარეები დებენ წერილობით გარიგებას.

- იჯარის ფორმით უძრავი ქონების დროებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის პირობებში უნდა აისახოს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბრალეული სუბიექტის (მხარის) მიმართ, დარღვევით დამდგარი ზიანის (მიუღებელი შემოსავალი და სხვა) საკომპენსაციოდ შესაბამისი ფინანსური სანქციები - „პირგასამტეხლო".
- უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელდეს ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების შესრულებაზე ჯეროვანი კონტროლი და გატარებული იქნას შესაბამისი ღონისძიებები ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ქირის ამოღების მიზნით. აგრეთვე მიზანშეწონილია, შენობ(ებ)ის იჯარით გაცემის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის პირობ(ებ)ში შესული ნებისმიერი ცვლილება აისახოს დოკუმენტალურად.

(შპს-სთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება კონკრეტული შპს-ს ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ, რის შესახებაც ეცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.)

- განისაზღვროს შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა, შესყიდვები განხორციელდეს წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხალშეკრულებების მოქმედების ვადები განისაზღვროს ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.
- ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში უნდა აიტვირთოს ხელშეკრულებასთან ერთად. აგრეთვე ამავე ბრძანების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

სისტემაში უნდა აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხალშეკრულებები და ხელშეკრულებების ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N13 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.
- იმისათვის, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღოს სასურველი შედეგი და დაიკმაყოფილოს საჭიროება, რეკომენდირებულია, ხელშეკრულებაში განისაზღვროს შესყიდვის ობიექტის ზუსტი დასახელება, რაოდენობა, ტექნიკური პარამეტრები და ერთეულის ფასი.
- “ცენტრმა“ შესყიდული საქონლის ღირებულება აანაზრაუროს შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის №230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი“-ს მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე (თუ საწვავის ფაქტობრივად ხარჯვის ნორმები რეგლამენტირებული არ არის, საწვავი ჩამოიწერება ფაქტობრივი ხარჯისა და ცალკეული მარკის სატრანსპორტო საშუალების საწვავის ხარჯვის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით), რეკომენდირებულია საწვავის წვის ნორმა, გარდა, ფაქტობრივი ხარჯვის მაჩვენებლებისა, განისაზღვროს საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. პრაქტიკაში უნდა დაინერგოს საწვავის ხარჯვის ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რაც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალების ან/და სპეც.ტექნიკის მიერ განვლილი მანძილის ან/და ნამუშევარი სათების ზუსტ აღრიცხვას.
- ცენტრი“-ს ადმინისტრაციამ, ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება უზრუნველყოს „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს დამტკიცების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.
- “ცენტრი“-ს ბალანსზე რიცხულ ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის დანიშვნა განხორციელდეს “ცენტრი“-ს მმართველის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის გამოცემის საფუძველზე. ხსენებულ პოზიციაზე დანიშნულ პირთან გაფორმდეს ხელშეკრულება - სრული მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. ამასთან, საინვენტარიზაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირი.

2020 წელს განხორციელდა 1 (ერთი) ინსპექტირება, მერიის სამსახურის ხელმძღვანელის წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა თანამშრომლის მიერ შედგენილ დოკუმენტში დაშვებული უზუსტობის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულ ვადის დარღვევას. ინსპექტირების შედეგებზე დაყრდნობით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის ფაქტზე განხორციელებულ იქნა დისციპლინური წარმოება. ბრალეული საჯარო მოხელის მიმართ გაიცა რეკომენდაცია დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ. (რეკომენდაცა გათვალისწინებულ იქნა ბრალეული საჯარო მოხელის მიმართებით).

ასევე 2020 წელში შიდა აუდიტორული შემოწმება განხორციელდა 1 (ერთი) ა(ა)იპ-ში, 1 (ერთი) სტრუქტურულ ერთეულში. მომზადდა ერთი შიდა აუდიტორული ანგარიში, და ორი შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი. აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მიგნებების აღმოსაფხვრელად აუდიტის ანგარიშში აისახა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- დაინერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და სათანადოდ რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად.
- ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა ამ კანონით დადგენილი გამონაკლისებისა. ვინაიდან წარმომადგენელებით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები არ განეკუთვნება აღნიშნულ გამონაკლისებს, წარმომადგენელებით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა იმოქმედოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები (არსებობის შემთხვევაში).

- კონტროლის მექანიზმებისა და ინსტუტუციური მეხსიერების გაძლიერებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის მოხდეს ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირება.
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისას დაცული იქნას სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები.
- ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება არ გაფორმდეს ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება" მინიჭებიდან მომდევნო 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
- გაძლიერდეს კონტროლის მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილ იქნას გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, სატენდერო პირობებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- არ განხორციელდეს ხელშეკრულების ცვლილება, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.
- აუცილებლობის შემთხვევაში, საპროექტო დაწესებულებებიდან შესყიდულ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში ცვლილებები განხორციელდეს ავტორებთან შეთანხმებით, სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე.
- ვინაიდან სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოცულობებზე დაყრდნობით ხდება პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადებების წარმოდგენა, შემსყიდველმა მიუთითოს გასაწევი მომსახურების მოცულობების (მაგ. დასაპროექტებელი ობიექტების სიგრძეების) შესახებ ინფორმაცია და მკაფიოდ აღწეროს შესყიდვის ობიექტი.
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას შესაბამისი ველები შეივსოს სწორად და არ აიტვირთოს ხარვეზის შემცველი სატენდერო დოკუმენტაცია, რის შედეგადაც დაინტერესებული პირებისთვის სატენდერო პირობები გასაგები იქნება და ხელს შეუწყობს ტენდერებში მათ მონაწილეობას, კონკურენციის ზრდასა და სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

- სატენდერო კომისიის ნებისმიერი სხდომის ოქმი, გარდა სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სხდომის ოქმისა, სისტემაში აიტვირთოს ხელმოწერისთანავე.
- პრეტენდენტთან მიმართებით ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილი სისტემაში აიტვირთოს, ამ პრეტენდენტის ვინაობის განსაჯაროების შემდგომ ასატვირთ სატენდერო კომისიის პირველივე სხდომის ოქმთან ერთად.
- გატარდეს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირების ხელწერილების - ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ - სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა. ასევე გაძლიერდეს კონტროლის მექანიზმები, რათა ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელ ფიზიკურ პირს არ ევალება ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის დადასტურება, თუ აღნიშნული მას, როგორც სატენდერო კომისიის ან სატენდერო კომისიის აპარატის წევრს იმავე მიმწოდებლის (პრეტენდენტის) მიმართ უკვე დადასტურებული აქვს ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობისას, აგრეთვე გამარტივებული შესყიდვის დროს თუ აღნიშნული მას, როგორც მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილეს, უკვე დადასტურებული აქვს.
- გატარდეს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელებული შესყიდვების შესაბამისი ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირების ხელწერილების - ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ - სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კითხვის დასმიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, „კითხვა-პასუხის" მოდულის მეშვეობით, გაკეთდეს შესაბამისი განმარტება დასმულ კითხვასთან მიმართებით. შესაბამისი განმარტების შედეგად დაინტერესებული პირებისთვის სატენდერო პირობები უფრო გასაგები გახდება და ხელს შეუწყობს ტენდერებში მათ მონაწილეობას, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებას და სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

- „კითხვა-პასუხის“ მოდულში განმარტების გაკეთებისას მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვა, ვინაიდან მიღებულ განმარტებაზე დაყრდნობით დაინტერესებული მხარე იღებს გადაწყვეტილებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ და დროში დაგვიანებული პასუხი შესაძლოა არარელევანტური აღმოჩნდეს მისთვის, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას.
- გატარდეს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებების შესრულების / შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა.
- გაუმჯობესდეს კონტროლის ქმედითი მექანიზმები, რათა მომავალში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი''-ს მე-5 მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტების მიხედვით, ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებებს მიენიჭოთ შესაბამისი სტატუსები **(„შესრულებული ხელშეკრულება“** ან **„შეუსრულებელი ხელშეკრულება“).**

მერიის სტრუქტურული ერთეულების მხრიდან შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურისათვის შეკითხვით მიმართვის საფუძველზე, სამართლებრივი კონსულტაციის ფარგლებში მომზადდა დასკვნები და გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებულ პირობებიან/უპირობო ელექტრონულ აუქციონებზე გატანილ ლოტებთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია აუქციონატორის მიერ, შესაბამის ელექტრონულ ველში სრულყოფილად იქნას დეკლარირებული გასასხვისებელი ნივთის აღწერილობითი-თვისობრივი მახასიათებლები, რაც სახელშეკრულებო პირობების დარღვევის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულის-მყიდველის მხრიდან გამორიცხავს სუბიექტურ ფაქტორებზე აპელირებით პრეტენზიის წარდგენისა და სასარჩელო წესით საქმის წარმოების სამართლებრივ საფუძვლებს. ამასთან, მინიმუმამდე დაიყვანს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესში ფინანსური ზიანის დადგომის რისკებს (ლოტზე გამოვლენილი ნაკლის გამოსწორების ხარჯი; შესაძლო სასამართლო ხარჯები და სხვა). მეორემხრივ ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების ეფექტურად განკარგვის, არსებულზე მეტად დახვეწილი პრაქტიკის დამკვიდრებას.

2. მიზანშეწონილია ქონების მოიჯარე ფიზიკური პირის სამეწარმეო საქმიანობის დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წინაშე მდგარი ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით, მოიჯარესთან მიმართებით, კომპეტენციის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების აღსრულების უზრუნველყოფის გზით მოახდინოს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების შეუფერხებლად მიღების ნაწილში, შედეგის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სამართლებრივი ქმედებები.

2021 წელს განხორციელდა 2 (ორი) შიდა აუდიტორული შემოწმება, მერიის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპი-ში შესაბამისობის აუდიტი და ბიუჯეტის ქვეპროგრამის ეფექტიქნობის აუდიტი. შიდა აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მიგნებების აღმოსაფხვრელად აუდიტის ანგარიშებში აისახა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ,,ცენტრმა" შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურისთვის ფინანსური ინფორმაციის სწორად წარდგენას, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და ხაზინის ამონაწერის შესაბამისად.
- ,,ცენტრმა" შეიმუშაოს და დანერგოს შესაბამისი მექანიზმები გადარიცხული თანხების კონტროლისთვის, აგრეთვე შრომის ანაზღაურების პროცესის სწორად წარმართვისა და ადმინისტრირებისთვის.
- ,,ცენტრმა" უზრუნველყოს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
- ,,ცენტრმა" შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანოსთვის დეკლარაციის წარდგენას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
- "ცენტრმა" უზრუნველყოს ინვენტარიზაციის ჩატარება ყოველწლიურად „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
- ,,ცენტრმა" უნდა დაადგინოს თუ რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს ყოველ 100 კმ-ზე ან/და ერთი მუშა-საათის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალება შემდეგი სახელმწიფო ნომრით OXO-221. პრაქტიკაში უნდა დაინერგოს საწვავის ხარჯვის ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალების ან/და სპეც.ტექნიკის მიერ განვლილი მანძილის ან/და ნამუშევარი საათების ზუსტ აღრიცხვას, საწვავის ჩამოწერას გარბენილი კილომეტრაჟის ან/და ნამუშევარი საათების მიხედვით. აგრეთვე გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში მიეთითოს თუ სად, კონკრეტულად რა სამუშაოსთვის გაიხარჯა საწვავი.
- ,,ცენტრმა" განსაზღვროს შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და კონტროლის მექანიზმების გაძლიერების საშუალებით, უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

- საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით შესყიდვები განხორციელდეს ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად. კონტროლის მექანიზმების გამლიერებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის მოხდეს ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირება და მისი სისტემატიზებული არქივაცია.
- პრაქტიკაში უნდა დაინერგოს კონტროლის ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ წარმართვას და ხელშეკრულებებში ტექნიკური, რაოდენობრივი და ფინანსური პარამეტრების სრულყოფილად განსაზღვრას.
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში სასურველია აუდიტის ობიექტმა გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციასა და დანაკარგების კომპენსირებას. საჯარიმო სანქციის დაწესება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის დაცვით, იგი უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული.
- გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტი რეგისტრირდება CMR-ში, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების /შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აისახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიენიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“). მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირ(ებ)ის, აგრეთვე ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

- გადამუშავდეს/განახლდეს ქვეპროგრამის ბენეფიციარების შერჩევის წესი და განისაზღვროს ადეკვატური კრიტერიუმები, რომლითაც კომისია განახორციელებს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას.
- გადამუშავდეს/განახლდეს ქვეპროგრამის ბენეფიციარების შერჩევის წესი და განისაზღვროს ბენეფიციართა აღრიცხვის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომლის საშუალებითაც ავტომატურად ან პერიოდულად განხორციელდება ბენეფიციართა პერსონალური ინფორმაციის, კერძოდ, სოციალურად დაუცველის სტატუსის ცვლილების, შეჩერებისა თუ გაუქმების, გარდაცვალების, აგრეთვე მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ასახვა და განახლება.
- ა(ი)პის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა საქმიანობის შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, განსაზღვრონ გაზომვადი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდება ა(ი)პის საქმიანობის შედეგების შეფასება და ქვეპროგრამის ფარგლებში დახარჯული თანხების ეფექტიანობის შესწავლა.
- ქვეპროგრამით გათვალისწინებული შედეგების ეფექტ
- იანად მიღწევისთვის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სათანადო კონტროლი დაწესდეს ა(ი)პის საქმიანობაზე, ჩატარდეს ქვეპროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, სხვა დანარჩენთან ერთად აღნიშნულის ფარგლებში უნდა განისაზღვროს მონიტორინგის შედეგების ანგარიშგების პერიოდულობა, ფორმატი და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეული. მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ობიექტურობის პრინციპის დაცვით და აღნიშნულ პროცესში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობა.
- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები, კრიტერიუმები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ბენეფიციარების მოთხოვნილებებზე მაქსიმალურად მორგებული საკვების მენიუს შედგენა, სხვადასხვა კვებითი საჭიროების მქონე პირების ინტერესების გათვალისწინების, მენიუს პერიოდული გამრავალფეროვნების და მისი კალორიულობის გაუმჯობესების შესაძლებლობების შეფასება.
- მიზანშეწონილია, ბენეფიციართათვის ქვეპროგრამის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ცენტრიდან დაშორებულ

სოფლებში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების მქონე პირები არ დადგნენ შიმშილის საფრთხის წინაშე ან /და განიხილონ მათთვის დახმარების გაწევის ალტერნატიული შესაძლებლობები. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების შესწავლა და მათგან კარგი პრაქტიკების გადმოღება.

2022 წელს სამსახურის მიერ განხორციელდა 4 (ოთხი) შიდა აუდიტორული შემოწმება, მ.შ. ბიუჯეტის 2 (ორი) ქვეპროგრამის ეფექტიქნობის აუდიტი, მერიის მიერ დაფუძნებულ 2 (ორ) ა(ა)იპ-ში შესაბამისობის აუდიტი. შიდა აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მიგნებების აღმოსაფხვრელად აუდიტის ანგარიშებში აისახა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- (ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტურისტული რესურსების შესწავლა და გაანალიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტულ ბაზრზე არსებული მდგომარეობის შეფასება, გამოწვევების და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის SWOT ანალიზი, ა(ა)იპ-ს ინსტიტუციური შეფასება, ა(ა)იპ-ის საქმიანობით დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და მოლოდინების შესწავლა.
- მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ქვეყანასა და მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფეროს დინამიური განვითარებისა და დარგში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა, რომელიც თავსებადი იქნება ტურიზმის დარგში სახელმწიფო სტრატეგიასთან და მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან.
- სტრატეგიული გეგმით უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები ტურიზმის სფეროში, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ა.შ. იგი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო სტრუქტურებთან, დონორებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობის შესახებ, დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიების შესახებ და სხვ.
- სტრატეგიულ გეგმასთან ერთად უნდა მომზადდეს დეტალური წლიური სამოქმედო გეგმა, რომელშიც სრულად და კონკრეტულად იქნება ასახული ის აქტივობები და ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მიღწევა. სამოქმედო გეგმაში უნდა განისაზღვროს თითოეული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დაგეგმილი ღონისძიებებისთვის საჭირო რესურსების რაოდენობა, მათი მოპოვების გზები, გეგმის შესრულების ინდიკატორები და ა.შ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს სამოქმედო გეგმების განფასება, რაც მერიას საშუალებას მისცემს სათანადოდ განსაზღვროს ა(ა)იპ-ის საქმიანობის მხარდაჭერისთვის აუცილებელი სახსრების მოცულობა.
- (ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები, კრიტერიუმები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და დოკუმენტირება, კერძოდ:

1. მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება, ასევე ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი ინფორმაციის სისტემატური კვლევა და მიღებული ინფორმაციის ინტეგრირება მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

2. სამიზნე და კონკურენტი ტურისტული ბაზრების კვლევა და ანალიზი; ტურიზმის სფეროში მომსახურების ადგილობრივი მიმწოდებლების მუშაობისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღება, მათი იდეების/კომენტარების შეგროვება და შესაბამისი რეაგირება; მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტების კმაყოფილების დონისა და მიღებული ტურისტული მომსახურების მიმართ ტურისტების მოთხოვნების და მოლოდინების სისტემატური კვლევა.

- ა(აი)პის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა საქმიანობის შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, განსაზღვრონ გაზომვადი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდება ა(ი)პის საქმიანობის შედეგების შეფასება და ქვეპროგრამის ფარგლებში დახარჯული თანხების ეფექტიანობის შესწავლა.
- ქვეპროგრამით გათვალისწინებული შედეგების ეფექტიანად მიღწევისთვის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სათანადო კონტროლი დაწესდეს ა(ი)პის საქმიანობაზე, ჩატარდეს ქვეპროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, სხვა დანარჩენთან ერთად აღნიშნულის ფარგლებში უნდა განისაზღვროს მონიტორინგის შედეგების ანგარიშგების პერიოდულობა, ფორმატი და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეული. სათანადო კონტროლის სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს ა(ა)იპ-ის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას და მუნიციპალური ფინანსების ეფექტიან ხარჯვას.
- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები, კრიტერიუმები და მიდგომები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ახლებური გააზრება, კვლევების შედეგად გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული ტურისტული მიმართულებების განვითარების კონცეფციების შედგენა, ტურისტული პოტენციალის მქონე ახალი ობიექტების მოძიება, მათი განვითარების კონცეფციის შედგენა და მასობრივი პოპულარიზაცია, ტურისტული მარშრუტების შექმნა-განახლება რელიეფისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ინტერნეტ რესურსების გამოყენებით საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების შესწავლა მუნიციპალიტეტში ტურისტული პროდუქტების განვითარების მიზნით, ახალი და ინოვაციური ტურისტული პროდუქტების შემუშავება, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად იდენტიფიცირებული პოტენციური ტურისტული პროდუქტების განხილვა-ანალიზი, ტესტირებული ახალი ტურისტული პროდუქტების რუკების დამზადება, ინტერნეტ ელექტრონულ რესურსებში ინტეგრირება და საინფორმაციო მასალების შემუშავება, სხვადასხვა ელექტრონული ტურისტული მარშრუტის შექმნა და დამუშავება.
- მუნიციპალიტეტში ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყონ ტურიზმის დარგში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის და უნარ-ჩვევების მხრივ არსებული საჭიროებების გამოვლენა, მათ ეფექტიანად გადასაწყვეტად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლებისა და უნარ-ჩვევების განვითარების შედეგების შეფასება.
- ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშავონ და დანერგონ პროცესები და აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლებას,

რეკომენდირებულია ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმატით ტურიზმის სფეროში სიახლეების, სტანდარტების, შეფასებებისა და საერთაშორისო რეგულაციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოთ ტურიზმის სფეროს ადგილობრივ წარმომადგენლებს, აღნიშნული ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებგვერდზეც. აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაბამის პირებს დაეხმარება ტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

- მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლებისა და მიმზიდველი იმიჯის (ბრენდის) ფორმირების მიზნით, ა(ა)იპ-მ სათანადო კვლევების განხორციელების საფუძველზე, უნდა შეიმუშავოს ინტეგრირებული და მიზნობრივი მარკეტინგული სტრატეგია, რომელშიც სათანადოდ იქნება წარმოჩენილი სამიზნე ტურისტული ბაზრების პრიორიტეტულობა, საკომუნიკაციო არხები, გათვალისწინებული იქნება წყალტუბოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, ცნობადი და მიმზიდველი ბრენდის შექმნა და ტურიზმის სექტორში ჩართულ სუბიექტებთან თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამაღლების მიმართულებით. მარკეტინგული სტრატეგიის დოკუმენტზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს შესაბამისი დეტალური სამოქმედო გეგმა.
- მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის და ვიზიტორების მოზიდვის მიზნით, ტრადიციული მარკეტინგული არხების გარდა მიზანშეწონილია ონლაინ მარკეტინგის აქტიური გამოყენება. ინტერნეტ და სოციალური მედია-ინსტრუმენტების და საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებებით უნდა განხორციელდეს შინაარსზე ორიენტირებული მარკეტინგული ღონისძიებები, მათ შორის, ისტორიების გაზიარებითა და თემატური კამპანიების გზით.

  მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ვებ-გვერდებისა და სოციალური მედია-ინსტრუმენტების უფრო მეტ ინფორმაციულობას, აქტუალურობას, ინტერაქტიულობას, რეგულარულად განახლებადობას და უცხოენოვანი მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომობას.
- ქვეპროგრამის ცნობადობის ამაღლებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გაზრდის მიზნით, შესაბამის პირებს ქვეპროგრამასთან და აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებთან, ქვეპროგრამის განმახორციელებელი აა(ი)პ-ის ფუნქციებთან და საქმიანობებთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდოს დროულად, ამომწურავად, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებითა და მათზე მორგებული ფორმით.

- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს:

✓ სახელმწიფო შეყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცედურების წარმართვას სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;

- ✓ შესყიდვების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, ორგანიზაციის საჭიროებების/ მოთხოვნების სათანადო შეფასება-გაანალიზებას, მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების განსაზღვრას, მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ერთგვაროვანი საშუალებების იდენტიფიცირებასა და აგრეგირებას შესყიდვების წლიურ გეგმაში;
- ✓ ფაქტობრივი შესყიდვების გეგმასთან შეუსაბამობის რისკების შესამცირებლად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.
- ✓ კონტროლის მექანიზმების და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების მიზნით შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში განხორციელებული აქტივობების სათანადო დოკუმენტირებას და დაარქივებას.

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს:

- ცალკეული შესყიდვისათვის ინდივიდუალურად მოსამზადებელი სამუშაოების ჯეროვნად წარმართვას და კვალიფიციური შესყიდვის განხორციელებას.
- საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად.
- კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების მიზნით ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირებას და მათ სისტემატიზებული არქივაციას.
- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირი/პირები წერილობითი ფორმით დაადასტურებენ, რომ შესაბამის შესყიდვებში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აიტვირთება.
- ა(ა)იპ-მა უზრუნველყოს ანგარიშსწორების პირობების განსაზღვრის არსებული პრაქტიკის გადახედვა, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შეფასების საფუძველზე შეიმუშავოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორების გონივრული და სათანადოდ არგუმენტირებული ვადები.
- ა(ა)იპ-მა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესყიდვის ობიექტის მიღებისა და მიმწოდებელთან ანგარიშსწორების განხორციელების პროცესში შესაბამისი ხელშეკრულების პირობების დაცვა.
- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამსახურში მოსვლისა და სამსახურიდან წასვლის დროის იდენტიფიცირებასა და შესაბამის კონტროლს, თანამშრომელთა ნამუშევარი დროის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვას და შრომის ანაზღაურების განხორციელებას ფაქტობრივად ნამუშევარი დროის მიხედვით.

- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და პრაქტიკაში დაინერგოს კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო აღმზრდელობითი საქმიანობით მიღწეული შედეგების სათანადო კონტროლს, ანალიზს და შეფასებას, მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენას და მათზე ადეკვატურ რეაგირებას, შიდა რეგულაციებით განსაზღვრული წესების დაცვას, მათ შორის წრეებში ჩატარებული მუშაობის, წრის წევრთა მონაცემების, წლიური ანგარიშებისა და სხვა მონაცემების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის სააღრიცხვო ჟურნალებში სათანადოდ ასახვას.

- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ა(ა)იპ-ის საქმიანობით დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლე პირების საჭიროებებისა და მოლოდინების შესწავლა და გაანალიზება, ა(ა)იპ-ს წინაშე მდგარი გამოწვევების და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, ა(ა)იპ-ის SWOT ანალიზი, ა(ა)იპ-ს ინსტიტუციური შეფასება.

  მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, უნდა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა, რომელიც თავსებადი იქნება შესაბამის სფეროში სახელმწიფო პრიორიტეტებთან და მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან.

  სტრატეგიული გეგმით უნდა განისაზღვროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ა.შ. იგი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო სტრუქტურებთან, დონორებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობის შესახებ, დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიების შესახებ და სხვ.

  სტრატეგიულ გეგმასთან ერთად უნდა მომზადდეს დეტალური წლიური სამოქმედო გეგმა, რომელშიც სრულად და კონკრეტულად იქნება ასახული ის აქტივობები და ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მიღწევა. სამოქმედო გეგმაში უნდა განისაზღვროს თითოეული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დაგეგმილი ღონისძიებებისთვის საჭირო რესურსების რაოდენობა, მათი მოპოვების გზები, გეგმის შესრულების ინდიკატორები და ა.შ. ყოველწლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე კი შემუშავდეს კონკრეტული სამუშაო პროგრამა.

- ა(ა)იპ-ის მენეჯმენტმა ყველა თანამშრომელს გააცნოს სტრატეგიული და დეტალური წლიური სამოქმედო გეგმები, გაუზიაროს საბოლოო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. ამასთანავე ა(ა)იპ-ის მიზნები უნდა შემუშავდეს კარგად გააზრებული და პრაქტიკულად გაზომვადი კრიტერიუმების საფუძველზე.

- უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის დამოუკიდებელი და ქმედითი მექანიზმები. განისაზღვროს ვის მიერ და რა რეგულარობით განხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შედეგების შესახებ ანგარიშგება. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დროულად განხორციელდეს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და მათში განხორციელებული ცვლილებების შესახებ თანამშრომლებთან კომუნიკაცია.
- ა(ა)იპ -ის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში ამომწურავად და მკაფიოდ გაიწეროს მისი მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები, შემეცნებითი, სასწავლო-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის მართვასა და ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები.
- ა(ა)იპ -ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშაონ შესაბამისი პროცესები, მეთოდები, კრიტერიუმები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების ხედვა და სტრატეგია, განხორციელდება ადამიანური რესურსების კონკურენციის წესით შერჩევა წინასწარ გაწერილი კვალიფიკაციების შესაბამისად, თანამშრომელთა რეგულარული პროფესიული შეფასება წინასწარგანსაზღვრული მიზნების შესაბამისად და დარეგულირდება ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
- ქვეპროგრამით გათვალისწინებული შედეგების ეფექტიანად მიღწევისთვის ა(ა)იპ-ში შემუშავდეს და დაინერგოს დეტალური პროცედურული სახელმძღვანელო ინსტრუქციები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი საქმიანობის პროცესის სრულ ციკლში განხორციელებული ქმედებებისა და აქტივობები, ცალკეულ პროცესსა და ქვეპროცესსზე პასუხისმგებელი პირები, ანგარიშვალდებულების პროცედურები და თითოეულ ეტაპზე შესაქმნელი დოკუმენტაციის ნუსხის ფორმები.

- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა საქმიანობის შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, შეიმუშაონ ორგანიზაციის თვითშეფასების წესი და ფორმა, განსაზღვრონ გაზომვადი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდება ა(ა)იპ-ის საქმიანობის შედეგების შეფასება და ქვეპროგრამის ფარგლებში დახარჯული თანხების ეფექტიანობის შესწავლა.
- ქვეპროგრამით გათვალისწინებული შედეგების ეფექტიანად მიღწევისთვის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სათანადო კონტროლი დაწესდეს ა(ა)იპ-ის საქმიანობაზე, ჩატარდეს ქვეპროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, სხვა დანარჩენთან ერთად აღნიშნულის ფარგლებში უნდა განისაზღვროს მონიტორინგის შედეგების ანგარიშგების მიმართულებები, პერიოდულობა, ვადები, ფორმატი და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეული. დაინერგოს ა(ა)იპ-ს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროცესის კონტროლის მექანიზმები. მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ობიექტურობის პრინციპის დაცვით და აღნიშნულ პროცესში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობა. სათანადო კონტროლის

სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს ა(ა)იპ-ის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას და მუნიციპალური ფინანსების ეფექტიან ხარჯვას.

- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებით უზრუნველყონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სათანადო მონიტორინგი, აღნიშნული მონიტორინგით მიღებული ინფორმაციისა და შედეგების, მასწავლებლებზე და მოსწავლეებზე დაკვირვების მაჩვენებლების დოკუმენტური ასახვა, მოსწავლეთა ინდივიდუალური წერილობითი შეფასების განხორციელება.
- ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა მეთოლოგიური დოკუმენტის სახით შეიმუშავონ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში, აგრეთვე სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში მოსწავლეთა მიღებისა და გარიცხვის წესი შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

  - ✓ სათანადო დასაბუთებით შემუშავდეს და მკაფიოდ გაიწეროს მისაღებ მოსწავლეთა მიღების პირობები დს მოსწავლეთა შერჩევის კრიტერიუმები.
  - ✓ სათანადო დასაბუთებით შემუშავდეს და დეტალურად გაიწეროს მოსწავლეთა მისაღებ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ნუსხა სწავლების შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე.
  - ✓ განისაზღვროს კრიტერიუმები, რომლითაც დადგინდება ადგილების გამონთავისუფლების შემთხვევაში განმცხადებელთა მოსწავლეთა სიაში ჩარიცხვის საკითხის განხილვის რიგითობა.
  - ✓ სათანადო დასაბუთებით ჩამოყალიბდეს და მკაფიოდ გაიწეროს მოსწავლეთა გარიცხვის პირობები.
  - ✓ შემუშავდეს და დამტკიცდეს პროცედურები, რომელიც მოაწესრიგებს წრეებში, სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში ჩარიცხვის მსურველ მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ წრეებში, სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის მიზნით შეტანილი განცხადებების მიღების, დამუშავებისა და აღრიცხვის პროცესს. რეკომენდირებულია განცხადებების აღრიცხვა თითოეული წრის, სასწავლო (სამხატვრო სკოლა, სამუსიკო სკოლა) მიხედვით იწყებოდეს წინასწარ განსაზღრული სარეგისტრაციო ნომრით და ასახული იყოს სპეციალურ ფორმაში, რომლებიც მოიცავს ისეთ აუცილებელ მონაცემებს, როგორიცაა განცხადების მიღების თარიღი, განცხადების ნომერი, წრის/სასწავლო მიმართულების დასახელება, პოტენციური მოსწავლის სახელი და გვარი, ა(ა)იპ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ა.შ. აგრეთვე რეკომენდირებულია დაინერგოს რეზერვში მყოფი ჩარიცხვის მსურველი მოსწავლეების რეესტრის წარმოების პრაქტიკა.
  - ✓ მოსწავლეთა მიღებისა და გარიცხვის წესში გათვალისწინებული უნდა იყოს ანგარიშგების, შემუშავებული წესის პერიოდული განახლების, პროცესებისა და აქტივობების დოკუმენტირების მექანიზმები.

- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა სხვა მუნიციპალიტეტებში არსებული პრაქტიკებისა და დაინტერესებული პირების მოთხოვნების/საჭიროებების სათანადო შესწავლისა და ხარჯთეფექტიანობის ანალიზის საფუძველზე განიხილონ და შეაფასონ სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის

ყველა/ცალკეულ წრეში უფასო სექტორთან ერთად ფასიანი სექტორის არსებობის საკითხი და მიიღონ შესაბამისი არგუმენტირებული გადაწყვეტილება.

- ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშავონ პროცესები და აქტივობები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება წრეების შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სათანადო დასაბუთებით, დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლე პირების საჭიროებების/სურვილების სათანადო შესწავლის, შეფასებისა და გაანალიზების საფუძველზე.
- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლითაც დარეგულირდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში, ასევე სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში შემეცნებითი, სასწავლო-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: სათანადო დასაბუთების საფუძველზე შემუშავდება და დამტკიცდება სასწავლო გეგმები და პროგრამები, განისაზღვრება სწავლების ხანგრძლივობა, მეცადინეობების რაოდენობა კვირაში/ წლის მანძილზე, სასწავლო კურსის/საგნის მიზნები და ამოცანები, სასწავლო კურსის/საგნის შესწავლის წინაპირობები, მოსწავლეთა ასაკი, სწავლების ფორმატი (სწავლების მეთოდები), რესურსები, გამოყენებული ლიტერატურა და სასწავლო მასალები, მისაღწევი შედეგები (იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელსაც უზრუნველყოფს კურსი), შეფასების ფორმები, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმები, შემეცნებითი, სასწავლო-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგის, აგრეთვე დამტკიცებული პროგრამებისა და გეგმების შესრულების კონტროლის ფორმები და პროცედურები, პედაგოგთა კვირეული დატვირთვის საათთა რაოდენობა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებზე კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით პედაგოგთა საბჭოს შექმნისა და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ასპექტები და ა.შ.
- მიზანშეწონილია, სათანადოდ გაანალიზდეს და შეფასდეს ქვეპროგრამის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდის შესაძლებლობები. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების შესწავლა და მათგან კარგი პრაქტიკების გადმოღება.
- ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშავონ პროცესები და აქტივობები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ახალგაზრდების საჭიროებების სათანადო შესწავლა, მიღებული შედეგების საფუძველზე კი შემუშავებდა, დამტკიცდება და განხორციელდება ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები.
- ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის პროცესში იხელმძღვანელონ ხარჯთეფექტურობის პრინციპიდან გამომდინარე და შეიმუშავონ პროცესები, მეთოდები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც სათანადო დასაბუთებისა და საკმარისი გაანალიზების საფუძველზე განისაზღვრება წრეებში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა, ასევე დარეგულირდება წრის ხელმძღვანელთა სრული და ნახევარი განაკვეთების განსაზღვრის წესი და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
- ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა იხელმძღვანელონ ხარჯთეფექტურობის პრინციპიდან გამომდინარე და შეიმუშავონ პროცესები, მეთოდები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც სათანადო დასაბუთებისა და საკმარისი გაანალიზების საფუძველზე შემუშავდება და დამტკიცდება სამხატვრო და

სამუსიკო სკოლებში პედაგოგთა შრომის ანაზღაურების წესი და დარეგულირდება პედაგოგთა სამუშაო დატვირთვასთან დაკავშირებული საკითხები.

- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშავონ პროცესები და აქტივობები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სათანადო კონტროლი /ინსპექტირება, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში მოსწავლეთა მეცადინეობებზე დასწრების სათანადო აღრიცხვა და მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის პროცესის სათანადოდ წარმართვა.
- ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშავონ პროცესები და აქტივობები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ბავშვებისა და ახალგაზრდობის პრობლემების გადაჭრისთვის განკუთვნილი ადგილობრივი პროგრამების პროექტების მომზადება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.
- ქვეპროგრამის ცნობადობის ამაღლებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გაზრდის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ჩართულობით ქვეპროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოთ დროულად, ამომწურავად, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით და მათზე მორგებული ფორმით.

- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს:

✓ სახელმწიფო შეყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცედურების წარმართვას სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;

✓ შესყიდვების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, ორგანიზაციის საჭიროებების/ მოთხოვნების სათანადო შეფასება-გაანალიზებას, მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების განსაზღვრას, მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ერთგვაროვანი საშუალებების იდენტიფიცირებასა და აგრეგირებას შესყიდვების წლიურ გეგმაში;

✓ ფაქტობრივი შესყიდვების გეგმასთან შეუსაბამობის რისკების შესამცირებლად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

✓ კონტროლის მექანიზმების და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების მიზნით შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში განხორციელებული აქტივობების სათანადო დოკუმენტირებას და დაარქივებას.

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს:

- ცალკეული შესყიდვისათვის ინდივიდუალურად მოსამზადებელი სამუშაოების ჯეროვნად წარმართვას და კვალიფიციური შესყიდვის განხორციელებას.
- საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად.
- კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების მიზნით ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირებას და მათ სისტემატიზებული არქივაციას.
- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირი/პირები წერილობითი ფორმით დაადასტურებენ, რომ შესაბამის შესყიდვებში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აიტვირთება.
- ა(ა)იპ-მა უზრუნველყოს ანგარიშსწორების პირობების განსაზღვრის არსებული პრაქტიკის გადახედვა, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შეფასების საფუძველზე შეიმუშავოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორების გონივრული და სათანადოდ არგუმენტირებული ვადები.
- ა(ა)იპ-მა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესყიდვის ობიექტის მიღებისა და მიმწოდებელთან ანგარიშსწორების განხორციელების პროცესში შესაბამისი ხელშეკრულების პირობების დაცვა.
- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამსახურში მოსვლისა და სამსახურიდან წასვლის დროის იდენტიფიცირებასა და შესაბამის კონტროლს, თანამშრომელთა ნამუშევარი დროის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვას და შრომის ანაზღაურების განხორციელებას ფაქტობრივად ნამუშევარი დროის მიხედვით.

- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და პრაქტიკაში დაინერგოს კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო აღმზრდელობითი საქმიანობით მიღწეული შედეგების სათანადო კონტროლს, ანალიზს და შეფასებას, მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენას და მათზე ადეკვატურ რეაგირებას, შიდა რეგულაციებით განსაზღვრული წესების დაცვას, მათ შორის წრეებში ჩატარებული მუშაობის, წრის წევრთა მონაცემების, წლიური ანგარიშებისა და სხვა მონაცემების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის სააღრიცხვო ჟურნალებში სათანადოდ ასახვას.

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო შეყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცედურების წარმართვას სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;
- შესყიდვების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, ორგანიზაციის საჭიროებების/ მოთხოვნების სათანადო შეფასება-გაანალიზებას, მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების განსაზღვრას, მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ერთგვაროვანი საშუალებების იდენტიფიცირებასა და აგრეგირებას შესყიდვების წლიურ გეგმაში;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.
- კონტროლის მექანიზმების და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების მიზნით შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში განხორციელებული აქტივობების სათანადო დოკუმენტირებას და დაარქივებას.

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს:

- ✓ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად.
- ✓ კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების მიზნით ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირებას და მათ სისტემატიზებული არქივაციას.

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი ფიზიკური პირი/პირები წერილობითი ფორმით დაადასტურებენ, რომ შესაბამის შესყიდვებში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აიტვირთება.

ა(ა)იპ-მა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესყიდვის ობიექტის მიღებისა და მიმწოდებელთან ანგარიშსწორების განხორციელების პროცესში შესაბამისი ხელშეკრულების პირობების დაცვა.

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტის ერთმანეთთან შესაბამისობას.

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ნამუშევარი დროის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვას, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას/შეწყვეტას საშტატო ნუსხის/ საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად და თანამშრომელთა ხელფასების სწორ გაანგარიშებას.

პრაქტიკაში უნდა დაინერგოს საწვავის ხარჯვის ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ განვლილი მანძილის ზუსტ აღრიცხვას. ერთობლივი შემოსავლიდან საწვავის ხარჯის გამოსაქვითად შეძენილი და გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება დოკუმენტურად უნდა დადასტურდეს. გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში მიეთითოს თუ სად, კონკრეტულად რა სამუშაოსთვის გაიხარჯა საწვავი.

სალაროს ოპერაციებთან მიმართებით ა(ა)იპ-მა უზრუნველყოს ,,საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის №49 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით დადგენილი სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის დაცვა.

ა(ა)იპ-მ უზრუნველყოს კონტროლის მექანიზმების გაძლიერება კომუნალური გადასახადების ანაზღაურების პროცესის სათანადოდ წარმართვის მიზნით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: /მ. თედორაძე/